ქ. თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №22-ში არსებულ საოფისე შენობაზე ერთი სართულის დამატება

კონსტრუქციული დასკვნა

არსებული საოფისე შენობა აშენებულია დაახლოებით 10 წლის წინ. შენობის მზიდი ნაწილი წარმოადგენს რკინაბეტონის სივრცით კარკასს კოლონების, რიგელებისა და მონოლითური გადახურვის ფილების ერთობლიობით. საძირკველი წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფილას, რომელიც დაფუძნებულია მყარადპლასტიკურ თიხოვან გრუნტზე.

შენობის პირველადი კონსტრუქციული ანგარიში ინახება პროექტის კონსტრუქტორ ზ. სილაგაძესთან.

არსებული ანგარიშის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი სართულის დამატება შესაძლებელია თუ დაცული იქნება შემდეგი პირობები:

1. კოლონების გაგრძელება იგივე კვეთებით;
2. კედლების შევსება და ტიხრები გაზობეტონის მსუბუქი (იუტონგის) ბლოკებით მოცულობითი წონით 450 კგ/მ^3;
3. გადახურვის ფილა გამსუბუქებული, ორსტადიიანი ბეტონირებით შუაში პენოპლასტის გამოყენებით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილზე დამკვეთი იძლევა ტექნიკურ დავალებას, რომელიც საკმარისია დასახული ამოცანის გადასაჭრელად.

პროექტის კონსტრუქტორი ზ. სილაგაძე